მალხაზ მაცაბერიძე

ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფია

თბილისი
2015

შინაარსი

გეოპოლიტიკის "მამა"....4

1.სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური და სივრცითი ორგანიზმი....5

პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპირობებულობა. 5

სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი....6

სახელმწიფო როგორც სივრცითი ორგანიზმი....7

სივრცე - ნიადაგის პოლიტიკური ორგანიზაცია....9

2. სახელმწიფო და სივრცითი ექსპანსია....10

სახელმწიფოს სივრცითი ზრდის კანონები....10

ომების "ბუნებრივი" ხასიათი....12

მიწის ნაკლებობა - სოციალური კონფლიქტების საფუძველი13

"სივრცის გრძნობა"....13

"დიდი სახელმწიფოს" პარამეტრები....14

"მსოფლიო სახელმწიფოს" კონცეფცია....15

ზღვა - ძლიერების წყარო....16

რატცელის თეორიის ისტორიული ბედი....17

3. გეოპოლიტიკური ანალიზის საფუძვლები....19

გეოპოლიტიკური პრობლემატიკის არსი....19

გეოპოლიტიკური სიტუაცია....20

გეოპოლიტიკური მეტოქეობის სახეები....20

გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციები.....21
გეოპოლიტიკური ინფორმაცია.....22
გეოპოლიტიკური კარტოგრაფირება.....23
გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი.....23
დიპლომატიური მექანიზმები.....24
სამხედრო მექანიზმები 25
სპეციალური საშუალებები.....26
შიდა ოპოზიციის შესწავლა.....27
გეოსტრატეგიული მოტივაციები.....28
სახელმწიფოთა მორფოგენეზისი.....29
ახალი ქვეყნების ანალიზი.....30
იდენტობის კონფლიქტები.....31
კრიზისების გაშიფვრა 32

გეოპოლიტიკის "მამა"

ფრიდრიხ რატცელი (1844-1904), რომელიც თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ფუძემდებელია იმავდროულად გეოპოლიტიკის "მამად" ითვლება, თუმცა ამ ტერმინს თავის ნაშრომებში არ იყენებს. "რატცელის გარეშე გეოპოლიტიკის განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა", _ აღნიშნავდა ოტო მაული, გერმანელი გეოპოლიტიკოსი.

რატცელმა დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც შეისწავლა გეოლოგია, პალეონტოლოგია და ზოოლოგია. შემდეგ სწავლა გააგრძელა ჰაიდელბერგში, სადაც პროფესორ ერნსტ გეკელის (1834-1919) (პირველად გამოიყენა ტერმინი "ეკოლოგია") მოწაფე გახდა. რატცელი მოხალისედ წავიდა 1870-1871 წწ. გერმანია-საფრანგეთის ომში და "რკინის ჯვარი" მიიღო მამაცობისათვის.

ომის შემდეგ რატცელი კვლავ სამეცნიერო საქმიანობას დაუბრუნდა და აქცენტი დემოგრაფიის შესწავლაზე გადაიტანა. 1876 წ. რატცელმა დაიცვა დისერტაცია თემაზე "ემიგრაცია ჩინეთში", ხოლო 1882 წ. შტუტგარტში გამოვიდა ფუნდამენტური ნაშრომი: "ანთროპოგეოგრაფია", რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი კონცეფციის ძირითადი იდეები: გეოგრაფიულ მონაცემებთან ხალხების ევოლუციისა და დემოგრაფიის კავშირი, ადგილის რელიეფის გავლენა ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაზე და ა.შ.

ამ პერიოდში რატცელმა ბევრი იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში, რაც საფუძვლად დაედო მის ეთნოლოგიურ ნაშრომებს.

რატცელი გეოგრაფიას ასწავლიდა მიუნჰენის ტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1886-1904 წლებში იყო რატცელი ლეიპციგის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის პროფესორი.

მსოფლმხედველობრივად რატცელი ნაციონალისტი იყო და 1890 წ. შევიდა კარლ პეტერსის "პანგერმანულ ლიგაში". ნაშრომში "ფლოტის და მსოფლიო საკითხები" იგი მხარს უჭერდა პანგერმა-

ნისტებს და გერმანიის საზღვაო ძლიერების ზრდისაკენ მოუწოდ-ებდა.

რატცელის უმთავრესი ნაშრომია 1897 წ. გამოქვეყნებული "პოლიტიკური გეოგრაფია", რომელშიც ასაბუთებდა, რომ ნიადაგი არის ფუძემდებლური, უცვლელი მოცემულობა და მის გარშემო ბრუნავს ხალხთა ინტერესები. ისტორიის მსვლელობა განპირობე-ბულია ნიადაგითა და ტერიტორიით. მისთვის კაცობრიობის ის-ტორია არის გარემოსთან ადამიანების შეგუების ისტორია. სახელ-მწიფო განიხილება ბიოლოგიური კანონების შესაბამისად მოქმედ ცოცხალი ორგანიზმის სახით. ამ აზრით, რატცელი მიჰყვება მე-19 საუკუნეში გაბატონებულ შეხედულებას, რომელიც სახელმწიფოს ცოცხალ ორგანიზმს ადარებდა.

გარდა ზემოთდასახელებულისა, რატცელის შეხედულებები ჩამოყალიბებულია ნაშრომებში: "ხალხთმოსახლეობა", "დედამიწა და ცხოვრება", "კაცობრიობა როგორც სიცოცხლის მოვლენა დედა-მიწაზე" და სხვ.

1.სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური და სივრცითი ორგანიზმი

პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპი-რობებულობა

რატცელის აზრით, ისტორიული პროცესის ყველა ფილოსო-ფიურ თეორიას მხედველობის გარეშე რჩებოდა სახელმწიფოებრი-ვი განვითარების უმთავრესი პირობები. კერძოდ, არ აჩვენებდნენ თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო. მან მიზნად და-ისახა ამ ხარვეზის გამოსწორება და თავისი კვლევა-ძიების ცენ-ტრში **პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპირობებულობა**

მოაქცია - ურთიერთობა სახელმწიფოსა და მიწას შორის, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და გეოგრაფიულ სივრცეს შორის.

რატცელი დედამიწას ერთ მთლიანობად განიხილავდა, რომლის განუყოფელი ნაწილი ადამიანია. რატცელი თვლიდა, რომ ადამიანი ისევე უნდა შეეგუოს გარემოს, როგორც ეს ახასიათებს ფლორასა და ფაუნას. მისი განცხადებით კაცობრიობის ისტორია - გარემოსადმი ადამიანთა შეგუების ისტორიაა.

სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი

რატცელთან გეოგრაფიული დეტერმინიზმი სოციალური დარვინიზმით ივსება, ანუ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ბიოლოგიური მიდგომით. ჯერ კიდევ ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში რატცელი დაუახლოვდა პროფესორ ერნსტ გეკელს, რომელიც ჩარლზ დარვინის მოწაფე იყო. რატცელმა თავისი თეორიის ჩამოყალიბების დროს გამოიყენა დარვინის მრავალი იდეა, რომელთაც, საერთოდ, დიდი გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ მეცნიერებებზე. შედეგად წარმოიქმნა მთელი მიმდინარეობა, რომელსაც "სოციალ-დარვინიზმი" ეწოდა.

რატცელის აზრით, სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ბიოლოგიური და გეოგრაფიული კანონები. დარვინის ევოლუციური თეორიის გავლენა რატცელზე ძალზედ დიდი იყო. ეს ზეგავლენა უმთავრესად კი იმაში გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს განიხილავდა ცოცხალი ორგანიზმის სახით, რომელიც არსებობისათვის იბრძვის. ამ კუთხით რატცელი აგრძელებდა გერმანული "ორგანული" სოციოლოგიის სკოლის ტრადიციებს, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფერდინანდ ტიონისი (1855-1936) იყო.

რატცელი სახელმწიფოს განიხილავდა ბიოლოგიური ორგანიზმის სახით, რომლის თვისებებიც ნაწილობრივ ხალხის თვისებებს წარმოადგენს, ნაწილობრივ კი მიწის თვისებებს. სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი "ყველა იმ ზეგავლენას ექვემდებარება რასაც ყოველივე ცოცხალი ორგანიზმი", ის ვითარდება

ბიოლოგიური კანონების შესაბამისად, რადგანაც, რატცელის თანახმად, "სახელმწიფოს ორგანული ხასიათის გამოვლინება ისაა, რომ იგი მოძრაობს და იზრდება როგორც მთლიანობა".

რატცელის მოწაფე დოქტორი ემილ შიონე 1911 წელს "პოლიტიკურ გეოგრაფიაში" თავისი მასწავლებლის დამსახურების შესახებ აღნიშნავდა, რომ რატცელმა პირველად გამოიყენა პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართ "სრულიად ახალი მეთოდი, რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოიტანა თანამედროვე ბიოლოგიის პრაქტიკაში: დაიწყო სრულიად სხვადასხვა დროისა და დედამიწის სხვადასხვა კუთხის, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი და სხვადასხვაგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთმანეთთან შედარება და განხილვა როგორც ცოცხალი არსებებისა, რომლებიც, სხვა ორგანიზმების მსგავსად, ჩნდებიან, იზრდებიან და კვლავ ქრებიან". შიონეს განმარტებით, "სახელმწიფო არის რა ორგანიზმი ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, კიდევ უფრო არასრულყოფილია ვიდრე ცხოველთა სახელმწიფო".

სახელმწიფო როგორც სივრცითი ორგანიზმი

რატცელის მრავალმა წინამორბედმა (მონტესკიე, ჰერდერი, რიტერი) ყურადღება მიაქციეს სახელმწიფოს სიდიდესა და მის ძალას შორის კავშირს, მაგრამ მხოლოდ რატცელი მივიდა იმ გაგებამდე, რომ სივრცე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი. მისთვის სივრცე არა უბრალოდ სახელმწიფოს მიერ დაკავებული ტერიტორია იყო, არამედ მისი ძალის ერთ-ერთი ატრიბუტი.

რატცელისათვის სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც გარკვეულ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული; სახელმწიფო ყალიბდება ტერიტორიული რელიეფისა და მასშტაბისაგან, ისევე როგორც ხალხის მიერ მათი გააზრებისაგან. ამრიგად, სახელმწიფოში აისახება ობიექტური გეოგრაფიული მოცემულობა და ამ

მოცემულობის სუბიექტური საერთოეროვნული გააზრება, რაც პოლიტიკაში გამოიხატება. "ნორმალურ" სახელმწიფოდ რატცელს მიაჩნდა ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ორგანულადაა შეხამებული ერის გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეთნოკულტურული პარამეტრები.

რატცელის თანახმად, სახელმწიფოს როგორც ორგანიზმის მშენებლობაში მონაწილეობს დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, ასე რომ სახელმწიფოს თვისებები - ხალხისა და მიწის თვისებებია. მათგან უმნიშვნელოვანესია ტერიტორიული სიდიდე, მდებარეობა და საზღვრები, შემდეგ მიწის ხასიათი და ფორმა თავისი მცენარეულობითა და წყლებით და, ბოლოს, მისი მიმართება დედამიწის ზედაპირის სხვა ნაწილებისადმი.

ხალხი და სივრცე, ანუ რატცელისა და, საერთოდ, გერმანული გეოპოლიტიკის ტერმინოლოგიით, "სისხლი" და "მიწა", ან "რასა" და "სივრცე" განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს ხასიათს მთელი მისი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე.

სახელმწიფოს დამახასიათებელ სამ მთავარ გეოგრაფიულ ფაქტორს - ტერიტორიის სიდიდეს, გეოგრაფიულ მდებარეობას და საზღვრების ხასიათს რატცელი მიიჩნევდა სახელმწიფოს ძალის უმთავრეს მაჩვენებლებად, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკას განაპირობებენ. ამ პოლიტიკის არსი კი, რატცელის თანახმად, "სივრცისათვის მარადიულ ბრძოლაა".

რატცელის სიტყვით, სახელმწიფოები სივრცით ბაზაზე ვითარდებიან, სულ უფრო მეტად ერწყმიან მას, მისგან სულ უფრო მეტ ენერგიას იღებენ. ამრიგად სახელმწიფოები იქცევიან სივრცით მოვლენებად, რომლებიც ამ სივრცის მიერ იმართებიან და ცოცხლდებიან. სახელმწიფო "ჯდება" სიცოცხლის ექსპანსიის მოვლენათა რიგში და ამ მოვლენათა მწვერვალს წარმოადგენს.

სივრცე - ნიადაგის პოლიტიკური ორგანიზაცია

რატცელისათვის "სივრცე" (ღაუმ) ახალ თვისობრიობას იძენს, ხდება "სასიცოცხლო სფერო", "სასიცოცხლო სივრცე". აქედან გამომდინარეობს რატცელის კიდევ ორი მნიშვნელოვანი ტერმინი "სივრცითი აზრი" (ღაუმ სინნ) და "სასიცოცხლო ენერგია" (ებენსენერგე). სივრცესა და სივრცისათვის ბრძოლას რატცელი ისტორიის მამოძრავებელ ძალად, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხად განიხილავდა.

სახელმწიფო ყალიბდება დედამიწის გარკვეულ ზედაპირთან მიჯაჭვული ორგანიზმის სახით. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ზომა, ადგილმდებარეობა და საზღვრები. შემდეგ მოდის ნიადაგის ტიპები მცენარეულობასთან ერთად, ირიგაცია და, ბოლოს, თანაფარდობა დედამიწის ზედაპირის დანარჩენ კონგლომერატებთან. პირველ რიგში ესაა მიმდებარე ზღვები და დაუსახლებელი მიწები. ყველა ამ მახასიათებლის ერთობლიობა შეადგენს ქვეყანას (ლს ანდ), მაგრამ როდესაც საუბარია "ჩვენს ქვეყანაზე" მას ემატება ყოველივე ის, რაც ადამიანმა შექმნა და მიწასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ამრიგად, თავდაპირველი წმინდა გეოგრაფიული ცნება გადაიქცევა ქვეყნის მცხოვრებთა და მათი ისტორიის სულიერ და ემოციურ კავშირად.

სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია იმიტომ, რომ მასში ერთმანეთს ერწყმის ხალხის ცხოვრება გარკვეულ ნიადაგზე, ეს კავშირი მტკიცდება და წარმოუდგენელი ხდება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის გარეშე.

დასახლებული სივრცე ხელს უწყობს სახელმწიფოს განვითარებას, განსაკუთრებით თუკი ეს სივრცე გარშემორტყმულია ბუნებრივი საზღვრებით. თუ ხალხი თავის ტერიტორიაზე ბუნებრივად გრძნობს თავს, ის მუდმივად ახდენს ნიადაგიდან გამომდინარე ერთი და იმავე მახასიათებლების კვლავწარმოებას.

სივრცე - ბუნების კონკრეტული გამოხატულება განიხილება როგორც ეთნოსის უწყვეტი სასიცოცხლო სხეული, როგორც დასახლებული სივრცე.

2. სახელმწიფო და სივრცითი ექსპანსია

სახელმწიფოს სივრცითი ზრდის კანონები

სახელმწიფოსადმი "ორგანული" მიდგომიდან გამომდინარე, რატცელი სახელმწიფოს სივრცით ექსპანსიას განიხილავდა ცოცხალი ორგანიზმების ზრდის ბუნებრივი პროცესის სახით. სახელმწიფო დროში განვითარებასთან ერთად სივრცეშიც უნდა ფართოვდებოდეს. სივრცე - ბუნების საზღვრებია, რომელშიც მიმდინარეობს ხალხების ექსპანსია. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი "სივრცითი კონცეფცია", ე.ი. იდეა საკუთარი ტერიტორიული სამფლობელოების შესაძლო ფარგლების შესახებ. სახელმწიფოს დაცემა მისი სივრცითი კონცეფციის შესუსტების შედეგია.

რატცელის თანახმად, ხალხის რიცხობრივ ზრდასთან ერთად ქვეყანაც აფართოვებს თავის ტერიტორიას, რადგანაც ხალხი თავისი და სახელმწიფოს სამსახურში აყენებს იმ მიწებს ქვეყნის შიგნით, რომლებიც მანამდე გამოუყენებელი იყო. ესაა შიდა კოლონიზაცია. თუკი ეს საკმარისი არ აღმოჩნდება, ხალხი ქვეყნის გარეთ მიისწრაფვის და მაშინ ვლინდება სივრცითი ზრდის ყველა ის ფორმა, რომელთაც საბოლოო ჯამში მოსდევს მიწის მოპოვება - გარეთა კოლონიზაცია.

რატცელი არ კმაყოფილდება "გეოგრაფიული დეტერმინიზმის" პრინციპით, რომელიც საზოგადოების განვითარებას მის მიერ დაკავებული სივრცით ხსნიდა. მას ემატება "სასიცოცხლო სივრცის" მოპოვებისკენ მიმართული მოწოდება, რომლის გარეშეც შეუძლებლად გამოცხადდა სახელმწიფოს არსებობა და განვითარება.

სახელმწიფოსადმი, როგორც ცოცხალი ორგანიზმისადმი დამოკიდებულება ამავე დროს ნიშნავდა "საზღვრების ურღვევობის" კონცეფციაზე უარის თქმას. სახელმწიფო იბადება, იზრდება და კვდება ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად. მისი სივრცითი გაფართოება და შეკუმშვა ბუნებრივი პროცესია, რაც მის შინაგან სასიცოცხლო ციკლს უკავშირდება. რატცელი აღნიშნავდა: "თუ რომელიმე ხალხი თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე არ იყო უხვად უზრუნველყოფილი მიწით, მისი უმაღლესი და უპირველესი დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ გაიუმჯობესოს გეოგრაფიული მდგომარეობა: იგი სპობს შინაგან წინააღმდეგობებს, აუმჯობესებს გარე საზღვრებს, ზრდის თავის ტერიტორიას მეზობელი მიწების დაპყრობის გზით, იძენს შორეულ კოლონიებს".

წიგნში "სახელმწიფოთა სივრცითი ზრდის კანონების შესახებ" (1901) რატცელმა გამოჰყო ექსპანსიის შვიდი კანონი:

1. სახელმწიფოს სივრცე იზრდება მისი კულტურის ზრდასთან ერთად;

2. სახელმწიფოს სივრცით ზრდას თან სდევს მისი განვითარების სხვა გამოვლინებანი: იდეოლოგიის, წარმოების, კომერციული მოღვაწეობის სფეროებში, მძლავრ "მიზიდულობით გამოსხივებაში", პროზელიტიზმში;

3. სახელმწიფოს გაფართოება ხდება ნაკლები მნიშვნელობის პოლიტიკური ერთეულების (პატარა სახელმწიფოების) ჩაყლაპვითა და აბსორბირებით;

4. საზღვარი არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო და როგორც ასეთი, მოწმობს მის ზრდაზე, ძალასა ან სისუსტეზე და მის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე;

5. სივრცითი ექსპანსიის განხორციელებისას სახელმწიფო ცდილობს მოიცვას თავისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რეგიონები: სანაპირო ხაზები, მდინარეები, დაბლობები და ზოგადად რესურსებით მდიდარი ტერიტორიები;

6. ექსპანსიის თავდაპირველი იმპულსი გარედან მოდის, რადგანაც გაფართოებისკენ სახელმწიფოს "პროვოცირებას" ახდენს

მასთან შედარებით აშკარად დაბალი ცივილიზაციის სახელმწიფო (ან ტერიტორია);

7. უფრო სუსტი ერების ასიმილაციის (შერწყმის) საერთო ტენდენცია სახელმწიფოს ტერიტორიის კიდევ უფრო მეტად გაფართოებისაკენ უბიძგებს.

რატცელი სახელმწიფოთა სივრცითი ზრდის კანონების დადასტურებას გერმანიის ახალი ისტორიის მოვლენებში ხედავდა, როდესაც პატარა "სახელმწიფო რაიონები" "დიდ რეიხად" გადაიზარდა.

რატცელის კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მან დაწერა "კატეხიზისი იმპერიალისტებისათვის". მისი "გაფართოებადი სივრცის" კონცეფცია, აგრესიის გზით სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობის გაუმჯობესების იდეა, იმპერიალისტური პოლიტიკის პირდაპირ გამართლებასა და დასაბუთებას წარმოადგენდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, რატცელი ობიექტურობის დაცვას ცდილობდა. მისთვის მთავარი იყო შეექმნა კონცეპტუალური ინსტრუმენტი "სახელმწიფოსა და ხალხების სივრცისადმი მიმართების ისტორიის ადექვატური ასახვისათვის".

ომების "ბუნებრივი" ხასიათი

რატცელის თანახმად, სახელმწიფოები მეზობელ სახელმწიფოებთან შეჯიბრში ვითარდებიან. "ჯილდოს" კი ამ ბრძოლაში ახალი ტერიტორიები წარმოადგენს. სახელმწიფოთა სივრცითი ზრდა შეუძლებელია ჰარმონიულად, მშვიდობიანად, ომების გარეშე განხორციელებულიყო. ომები, სახელმწიფოთა ურთიერთბრძოლა ბუნებრივად გამომდინარეობდა სახელმწიფოს ბიოლოგიური არსიდან.

ომების მიზეზი მიწა და ხალხია, რომლის რიცხობრივი ზრდაც გარდუვალად მოითხოვს სახელმწიფოს სივრცით გაფართოებას. "ხალხის არსებობა სივრცის გარეშე", რატცელის მიხედვით, გარდუვალად იწვევს "მიწის მოპოვებისკენ სწრაფვას", ანუ ომს.

მიწის ნაკლებობა - სოციალური კონფლიქტების საფუძველი

რატცელისათვის მიწა არა მარტო სახელმწიფოებს შორის ბრძოლის მიზეზია, არამედ მიწის ნაკლებობა "არსებობისათვის ბრძოლას" ქვეყნის შიგნითაც განაპირობებს. მიწის პატარა ფართობზე მკვეთრად იზრდება ადამიანთა რაოდენობა და "თუკი კოლონიზაციას არ მოაქვს ახალი სივრცე", ისინი ძალზე ახლო შეხებაში მოდიან ერთმანეთთან, ებრძვიან და ფიტავენ ერთმანეთს.

სახელმწიფო რაც უფრო ფართოდ შლის "საგარეო მუშაობას", მით უფრო უკანა რიგში გადადის შინაგანი წინააღმდეგობანი, "ახალი სივრცე, რომელსაც ხალხი შეეზრდება, იმ წყაროს წარმოადგენს, საიდანაც სახელმწიფოებრივი გრძნობა ახალ ძალებს იკრებს".

არსებითად, სახელმწიფოს რატცელისეული გაგება მის შიგნით სოციალურ კონფლიქტებს გამორიცხავდა. სახელმწიფო მისთვის მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იყო. სახელმწიფო წარმოიშობა იქ, სადაც მთელი საზოგადოება ერთიანდება ყველასთვის საერთო მიზნების მისაღწევად და რომელთა მიღწევაც შეიძლება მხოლოდ საერთო ძალისხმევის წყალობით დროის გარკვეულ შუალედში. რატცელის თანახმად, სახელმწიფო წარმოიშვა იმიტომ, რომ მთელ საზოგადოებას სჭირდებოდა ეს ორგანიზაცია თავისი საერთო ინტერესების დასაცავად.

"სივრცის გრძნობა"

რატცელის აზრით, დიდი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ხალხებს, რომელთაც გააჩნიათ სივრცის გრძნობა. ე.ი. საზღვრები შეიძლება გაფართოვდეს და შევიწროვდეს მოცემული ხალხის დინამიზმის შესაბამისად. რატცელი ესწრაფვოდა "სივრცის გრძნობა" (ღაუმ სინნ) გაეღვიძებინა გერმანიის მესვეურთათვის. მისი თქმით, "სივრცის გრძნობის" დაკარგვა, რაც ტერიტორიულ გაფართოებაზე უარის თქმას ნიშნავს, სახელმწიფოსა და ერის გადაგვარებას იწ-

ვევს. ამიტომ, ყოველი ხალხი უნდა აღიზარდოს პატარა ქვეყნების დიდ სახელმწიფოდ განვითარების კონცეფციებზე დაყრდნობით. ეს პროცესი სულ უფრო უნდა ძლიერდებოდეს, რათა დაიცვან ხალხი პატარა სივრცის კონცეფციებზე დაბრუნებისაგან. "ყოველი სახელმწიფოს გახრწნა იწყება დიდი სივრცის კონცეფციაზე უარის თქმის შემთხვევაში", - წერდა რატცელი.

ამ თვალსაზრისით, რატცელზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ჩრდილოეთ ამერიკასთან გაცნობამ, რასაც ორი წიგნი მიუძღვნა: "ჩრდილოამერიკული ქალაქებისა და ცივილიზაციის რუქები" (1874) და "ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები" (1878-1880). რატცელის აზრით, "სივრცის გრძნობა" ამერიკელებს უმაღლეს დონეზე აქვთ განვითარებული, რადგანაც ისინი აღ-მოჩნდნენ "ცარიელი" სივრცეების ათვისების პრობლემის წინაშე, ამასთან გააჩნიათ ევროპის ისტორიის "პოლიტიკურ-გეოგრაფიუ-ლი" გამოცდილება. ამერიკელები გააზრებით ანხორციელებენ იმ-ას, რასაც "ძველი სამყარო" ინტუიციით და თანდათანობით უახ-ლოვდება.

"დიდი სახელმწიფოს" პარამეტრები

რატცელის დასკვნით, იმდროინდელი გერმანიის მიერ წამო-ყენებული მოთხოვნა კოლონიების მიღების თაობაზე ბუნებრივი ბიოლოგიური განვითარების შედეგი იყო, რაც ახასიათებს ყველა ახალგაზრდა და ძლიერ ორგანიზმს. რატცელის აზრით, გერმანი-ის უმთავრესი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები გა-მოწვეულია უსამართლო, ძლიერ ვიწრო საზღვრებით, რაც მის დინამიურ განვითარებას აფერხებდა.

რატცელს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო, თუკი მას სურს ჭეშმა-რიტად დიდი სახელმწიფო იყოს, ტერიტორიულად დაახლოებით 5 მლნ. კვ.კმ. უნდა ყოფილიყო. რატცელი ამას 1897 წელს აღნიშ-ნავდა, როდესაც იმდროინდელი გერმანიის ფართობი დაახლოებ-ით 550 ათას კვ.კმ-ს შეადგენდა. რადგანაც რატცელი თავის "პო-ლიტიკურ გეოგრაფიას" პირველ რიგში გერმანიისთვის წერდა,

ადვილი წარმოსადგენია, რატცელის აზრით, თუ რა "ძალისხმევა" სჭირდებოდათ, გერმანიის მესვეურებს "დიდი სახელმწიფოს" სტატუსის მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მმართველი კლასი პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში მართლაც გამსჭვალული იყო ტერიტორიების შეძენის სურვილით. რეიხსკანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა საფრანგეთის ელჩს განუცხადა, რომ გერმანიის მოსახლეობის სწრაფი ზრდის, მრეწველობის, ვაჭრობის და ფლოტის არნახული განვითარების პირობებში იმპერია იძულებულია რაიმე გზით გაფართოვდეს: "ნებისმიერი მზარდი ორგანიზმის უფლების ძალით გერმანელი ხალხი ასევე მოითხოვს ექსპანსიის შესაძლებლობებს".

1897 წელს ფონ ბიულოვი (იმ დროს სტატს-მდივანი საგარეო საქმეთა დარგში, მოგვიანებით კი რეიხსკანცლერი) გერმანულ კლუბში გამოსვლისას აღნიშნავდა: "წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გერმანელი ერთ თავის მეზობელს მიწას უთმობდა, მეორეს - ზღვას, თავისთვის კი ზეცას იტოვებდა, სადაც ტახტზე წმინდა დოქტრინა ზის... ჩვენ ასევე მოვითხოვთ ადგილს მზის ქვეშ".

"მსოფლიო სახელმწიფოს" კონცეფცია

რატცელის აზრით, დიდი სივრცე სიცოცხლის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის მოთხოვნილება დიდ სივრცეზე და ამ სივრცის ეფექტური გამოყენების უნარი XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი გახდებოდა. რატცელს მიაჩნდა, რომ მომავალში გაბატონდებოდნენ დიდი სახელმწიფოები, რომელთა ხელშიც დიდი კონტინენტური სივრცეები მოექცეოდა: ჩრდილოეთ ამერიკა, ევრო-აზიური რუსეთი, ავსტრალია და სამხრეთ ამერიკა.

სახელმწიფოთა ტერიტორიული ზრდის პრინციპმა რატცელი მიიყვანა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური იდეის - "მსოფლიო სახელმწიფოს" (ჭ ელ ᲐᲪᲭ) კონცეფციის თავდაპირველი ვარიანტის

ფორმირებამდე. დიდი ქვეყნების მაქსიმალური გეოგრაფიული ექსპანსიის ტენდენცია თანდათანობით გადის პლანეტარულ დონეზე. მაშასადამე, ადრე თუ გვიან გეოგრაფიული განვითარება კონტინენტურ ფაზამდე უნდა მივიდეს. რატცელი მიუთითებდა, რომ ბუნებრივი საზღვრებისაკენ სახელმწიფოთა სწრაფვა "დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ კონტინენტების საზღვრებში". ადრე თუ გვიან, მსოფლიო "პატარა აღმოჩნდება" რამდენიმე დიდი სახელმწიფოსათვისაც კი.

აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობდა კონტინენტური სივრცეების პოლიტიკური და სტრატეგიული გაერთიანების ამერიკული გამოცდილებიდან. გერმანიას რატცელი კონტინენტურ სახელმწიფოდ გადაქცევას უწინასწარმეტყველებდა.

ზღვა - ძლიერების წყარო

რატცელი დიდ ყურადღებას უთმობდა ცივილიზაციის განვითარებაში ზღვის როლის გააზრებას, რაც გეოპოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი თემაა. წიგნში "ზღვა, ხალხთა ძლიერების წყარო" (1900) რატცელი მიუთითებდა, რომ ყოველმა დიდმა სახელმწიფომ თავისი სამხედრო-საზღვაო ძალები უნდა განავითაროს, რადგანაც ამას მოითხოვს სრულფასოვანი ექსპანსიის პლანეტარული მასშტაბი. ის, რასაც ზოგიერთი ხალხი და სახელმწიფო (ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია და ა.შ.) სპონტანურად ანხორციელებდა, სახმელეთო სახელმწიფოებმა (რატცელი, ბუნებრივია, გერმანიას გულისხმობდა) გააზრებულად უნდა გააკეთონ: ფლოტის განვითარება აუცილებელია "მსოფლიო სახელმწიფოს" სტატუსთან მისაახლოებლად.

ზღვა და "მსოფლიო სახელმწიფო" რატცელთან უკვე ერთმანეთთანაა დაკავშირებული, თუმცა მხოლოდ მომდევნო პერიოდის გეოპოლიტიკოსებთან (მეჰენი, მაკინდერი, ჰაუსჰოფერი, შმიტი) ამ თემამ დასრულებული ხასიათი მიიღო და ცენტრალური მნიშვნელობა მიენიჭა.

რატცელი ხმელთაშუა ზღვის აუზს და ატლანტის ოკეანეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონებად მიიჩნევდა. წყნარ ოკეანეს კი "მომავლის" ოკეანეს უწოდებდა. მისი აზრით, იგი გახდებოდა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს შეჯახების არეალი. სახელმწიფო, რომელიც პირველობას მოიპოვებს წყნარ ოკეანეში, ასევე მიაღწევს დომინირებულ მდგომარეობას მთელ მსოფლიოში. ამას განაპირობებს წყნარი ოკეანის სტრატეგიული მდებარეობა, უნიკალური რესურსები და უდიდესი სივრცე. რატცელს მიაჩნდა, რომ წყნარი ოკეანის რაიონში მოხდებოდა ხუთი წამყვანი მსოფლიო სახელმწიფოს: ინგლისის, აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის და იაპონიის რთული ძალისმიერი ურთიერთობების "კვანძის გახსნა". რატცელისა და მისი მოწაფეების დასკვნით, გადამწყვეტი კონფლიქტი კონტინენტურ და საზღვაო სახელმწიფოებს შორის წყნარი ოკეანის ზონაში მოხდებოდა და კაცობრიობის ისტორიის ციკლურ ევოლუციას კატასტროფული ფინალით დაასრულებდა. ამავე დროს რატცელი თვლიდა, რომ ამ კონფლიქტში კონტინენტური სახელმწიფოები თავიანთი მდიდარი რესურსებით უპირატესობას მოიპოვებდნენ საზღვაო სახელმწიფოებზე, რომლებიც საკმარის სივრცეს არ ფლობენ თავიანთი გეოპოლიტიკური ბაზის სახით.

რატცელის თეორიის ისტორიული ბედი

თავდაპირველად გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი გეოგრაფები უარყოფდნენ, ანდა ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ რატცელის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ბიოლოგიურ კონცეფციას. რატცელის მომხრეთა რიცხვი გერმანიაში მხოლოდ მისი უახლოესი მოწაფეებით (ჰელმოლტი, ეკერტი, ჰენში, ჰასერტი, ზაპერი, შიონე) შემოიფარგლებოდა.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის წლებში და, განსაკუთრებით, ომის შემდეგ, როდესაც დამარცხებული გერმანიის გავლენიანი სამეცნიერო თუ პოლიტიკური წრეების განწყობას რატცელის იდეები კარგად ეხმიანებოდა. ცნობილი გერ-

მანელი გეოგრაფი სუპანი 1876 წელს წერდა: "ეგრედ წოდებული პოლიტიკური გეოგრაფიის ადგილი არაა გეოგრაფიის სამეცნიერო სისტემაში", მაგრამ იგივე ავტორი 1922 წელს უკვე აღნიშნავდა, რომ "მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გეოგრაფიის პოლიტიკურ მხარეს".

გერმანიაში რატცელის პოპულარობის ზრდას ხელი შეუწყო შვედმა მეცნიერმა რუდოლფ კელენმა, რომელიც რატცელის მიმდევარი იყო. 1916 წელს სტოკჰოლმში გამოქვეყნებული კელენის წიგნი "სახელმწიფო როგორც სიცოცხლის ფორმა" უკვე ერთი წლის შემდეგ გამოვიდა გერმანიაში.

სახელმწიფოს შესახებ რატცელის ბიოლოგიურმა მოძღვრებამ ნაცისტების ბატონობის დროს გერმანიაში ოფიციალური თეორიის სტატუსი მიიღო. ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა მსოფლიო ომის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში.

კარლ ჰაუსჰოფერის განცხადებით, „მესამე იმპერიის“ შექმნის (ე.ი. ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის) შემდეგ მოხდა რატცელის იდეების "ბრწყინვალე აღდგომა". ამ იდეებმა "გერმანიის ფიურერის ადოლფ ჰიტლერის და მისი მოადგილის რუდოლფ ჰესის სიტყვებში მილიონობით თანამემამულისათვის სახალხო ჟღერადობა შეიძინა".

რატცელის ნაშრომები აუცილებელი თეორიული ბაზა იყო გეოპოლიტიკურის როგორც დისციპლინის განვითარებისათვის. მასში ჩანასახოვანი თუ "შეკუმშული" სახით მოცემულია ამ დისციპლის ყველა ძირითადი თეზისი. რატცელის ნაშრომებს ემყარებოდნენ შემდეგი პერიოდის გეოპოლიტიკოსები თავიანთი კონცეფციების შემუშავების დროს.

3. გეოპოლიტიკური ანალიზის საფუძვლები

გეოპოლიტიკურ ანალიზს ფრანგი მეცნიერის მ.ფუშეს თანახმად, სამი განზომილება აქვს. ჯერ ერთი, ესაა სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის კვლევა მათი განვითარების კონკრეტული გეოგრაფიული და დროითი პირობების მიხედვით. მეორეც, ესაა რეალური მონაცემების შედარება ერთი და იმავე ტერიტორიის თაობაზე სხვადასხვა და ხშირად წინააღმდეგობრივ წარმოდგენებთან. მესამეც, ესაა პროგნოზი და რეკომენდაციები სივრცის გარდაქმნის პოლიტიკური სტრატეგიის გასატარებლად.

გეოპოლიტიკის ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს საგნის განხილვა სხვადასხვა მასშტაბებში, როგორც ამას აკეთებენ გეოგრაფები, გარემოს რუკაზე ასახვის დროს. თითოეული ცალკე აღებული ნებისმიერი მასშტაბის რუქა საშუალებას იძლევა დავინახოთ მხოლოდ სინამდვილის ნაწილი და მხოლოდ ყველა ამ რუქის ერთობლიობა ადექვატურად ასახავს სინამდვილეს.

გეოპოლიტიკის ხელოვნება სწორედ ასეთი სხვადასხვამასშტაბიანი "სურათის" კომბინირების უნარში მდგომარეობს. ასევე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ამა თუ იმ პროცესების განხორციელების სხვადასხვა სიჩქარე.

გეოპოლიტიკური პრობლემატიკის არსი

რას ნიშნავს "გეოპოლიტიკური პრობლემატიკა" და "გეოპოლიტიკური მიდგომა"?

გეოპოლიტიკურ პრობლემებს ქმნის "ხელისუფლებათა შორის მეტოქეობა ტერიტორიებისა და ამ ტერიტორიებზე მყოფ ადამიანთა გამო" (ივ ლაკოსტი). გეოპოლიტიკაზე საუბრის დროს საქმე ყოველთვის ეხება მტრობას გარკვეულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ხე-

ლისუფლებათა შორის. გეოპოლიტიკა _ ესაა დებატები "ერის ტერიტორიული პრობლემებისა და ქვეყნის საზღვრების გარშემო".

მაშასადამე, გეოპოლიტიკა კონფლიქტურ სიტუაციებთანაა დაკავშირებული _ "გეოპოლიტიკა დრამების და თვით ტრაგედიების სერიაა" (ივ ლაკოსტი). შედეგად იქმნება "გეოპოლიტიკური სიტუაცია".

გეოპოლიტიკური სიტუაცია

გეოპოლიტიკა მოწოდებულია გაანალიზოს გეოპოლიტიკური სიტუაცია, გაიგოს "არსებული ძალების მიზნები, მამოძრავებელი და საპირისპირო არგუმენტები". ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტების წარმოჩენა შესაძლებელს ხდის უკეთ გავიგოთ კონფლიქტი და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები.

როგორიც არ უნდა იყოს ტერიტორიული განშლა (პლანეტარული, კონტინენტური, სახელმწიფოებრივი, რეგიონული, ლოკალური) და რთული გეოგრაფიული მონაცემები (რელიეფი, კლიმატი, მცენარეულობა, ხალხთა განაწილება და მათი საქმიანობა), ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე განისაზღვრება წინააღმდეგობით ხელისუფლებათა შორის და ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში მყოფი ძალების ურთიერთდამოკიდებულებით.

წინააღმდეგობა ხელისუფლებათა შორის, _ ეს, უპირველესად, დიდ და პატარა სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობაა, რომლებიც გარკვეული ტერიტორიების ფლობისა თუ კონტროლისათვის კამათობენ.

შეიძლება ითქვას, რომ გეოპოლიტიკის თვალსაჩინო პრობლემა ძალადობაა, რომელთანაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას უხდება შეჯახება.

გეოპოლიტიკური მეტოქეობის სახეები

გეოპოლიტიკას მარტო სახელმწიფოთაშორის მეტოქეობასთან როდი აქვს საქმე. ხელისუფლებათა მეტოქეობა ვითარდება მრავალი

ქვეყნის შიგნითაც. ქვეყნები სადაც არიან უმცირესობები და ისინი ან ავტონომიას, ან დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

თავს იჩენს იმიგრაციის პრობლემაც, რომელიც გეოპოლიტიკური გახდა მრავალი ქვეყნისათვის.

ივ ლაკოსტის აზრით, გეოპოლიტიკური მეტოქეობა არსებობს ერთი ეროვნების წიაღშიც, ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებიც ცდილობენ თავისი გავლენა ამა თუ იმ რეგიონსა და დასახლებულ პუნქტზე გაავრცელონ, მოიპოვონ ან შეინარჩუნონ საარჩევნო ოლქი.

გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციები

გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში გასარკვევად არ კმარა: ა) მოტივების დაზუსტება და ბ) მათი კარტოგრაფირება. საჭიროა სახელმწიფოების მეთაურების, რეგიონალისტური მოძრაობების ლიდერთა, ავტონომისტთა, დამოუკიდებლობის მოსურნეთა და სხვათა მოტივებსა და იდეებში გარკვევა. თითოეული გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს და, იმავდროულად, გავლენას ახდენს მასზე.

იდეები, მათ შორის მცდარი იდეებიც _ გეოპოლიტიკურ კაპიტალს წარმოადგენს, რადგანაც მათ მიხედვით შეიძლება გეგმების ახსნა. ისინი განსაზღვრავენ სტრატეგიულ არჩევანს. ამ გეოპოლიტიკურ იდეებს ივ ლაკოსტის სკოლა "რეპრეზენტაციებს" (გამოხატულებებს, წარმოდგენებს) უწოდებს. მათი აზრით, ეს ტერმინი კარგად ესადაგება გეოპოლიტიკური იდეების ორ ყველაზე მთავარ მახასიათებელს.

ერთი მხრივ, რეპრეზენტაცია _ დახატვას, გამოსახვას ნიშნავს. ამგვარად გეოპოლიტიკური იდეები ტერიტორიებს ეხება, ანუ რუქებს, რომლებიც ამ ტერიტორიებს წარმოაჩენს.

მეორე მხრივ, რეპრეზენტაცია (წარმოდგენა) უპირატესად თეატრალური აქტია, რომელიც სიმბოლურად პერსონაჟებსა და ტრადიციულ სიტუაციას წარმოადგენს. ანუ იმას, რაც ასე დამახასიათებელია გეოპოლიტიკისათვის.

გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციები უპირატესად კარტოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ არ შეიძლება რეპრეზენ-

ტაციის თეატრალური მნიშვნელობის დავიწყებაც, რადგანაც "მრავალი გეოპოლიტიკური კონფლიქტი სწორედ დრამის კონტექსტში გაიაზრება და კონფლიქტში ჩაბმული თითოეული ეროვნება სიმბოლურად პერსონაჟის მორთულობით წარმოდგება" ("საფრანგეთი", "გერმანია" და ა.შ.). ურთიერთკავშირების ისტორიული რეპრეზენტაცია, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გადმოცემის მანერა ტრაგედიას განეკუთვნება.

ტერიტორიებზე თავიანთი პრეტენზიების და უფლებების გასამართლებლად, ან იმისათვის რომ მათ სტრატეგიებს ჩავწვდეთ, მთავარი მოქმედი პირები (სახელმწიფოს მეთაურები და მრჩევლები) თავისი პირადი თუ კოლექტიური გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციების გათვალისწინებით, იმოწმებენ სხვადასხვა ტიპის არგუმენტებსა და დასკვნებს, რომლებიც გეოპოლიტიკის თეორიის არსენალს განეკუთვნება.

გეოპოლიტიკური ინფორმაცია

გეოპოლიტიკური პრობლემების გასაგებად საჭიროა ინფორმაციის გარკვეული რაოდენობა, რომელიც შეძლებისდაგვად ზუსტი და ობიექტური უნდა იყოს. ამ ინფორმაციაში ანტაგონისტური კონცეფციებიც შედის.

ნებისმიერ მეცნიერებას ობიექტურობა ესაჭიროება. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ობიექტურობას გეოპოლიტიკურ გამოკვლევებში? ივ ლაკოსტის აზრით "გადამწყვეტია წარმოვადგინოთ და გავიგოთ არსებული ძალების მიზნები, მამოძრავებელი და საპირისპირო არგუმენტები და დაპირისპირებულ მხარეთა თვალსაზრისი".

ურთიერთსაწინააღმდეგო თეზისების წარმოჩენა საშუალებას იძლევა უკეთესად გავიგოთ გარკვეული კონფლიქტები და ის, თუ როგორ შეიძლება ისინი სხვადასხვა სცენარის მიხედვით განვითარდეს.

გეოპოლიტიკური კარტოგრაფირება

იმის საჩვენებლად, თუ როგორია სხვადასხვა ძალთა თანაფარდობა (მათ შორის შეზღუდულ სივრცეებშიც), საჭიროა ნათელი და გარკვეული წარმოდგენის შემქმნელი რუქები. კერძოდ, ისტორიული რუქები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ სიტუაციის განვითარება - საზღვრების თანდათანობითი ჩამოყალიბების მიხედვით.

გეოპოლიტიკის მიზანია არა მხოლოდ კრიზისული სიტუაციების ანალიზი, არამედ გარკვეულ მოვლენათა თავიდან აცილების სწავლაც.

გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი

ფრანსუა ტიუალის მეთოდი ითვალისწინებს კითხვების დასმას მოვლენის (დაძაბულობა, კრიზისი, კონფლიქტი, ომი, მოლაპარაკება) გარშემო:

- ვის რა სურს?
- ვისთან ერთად?
- როგორ?
- რატომ?

ე.ი. გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზისას საჭიროა დადგინდეს მონაწილენი, გაანალიზდეს მათი მოტივაცია, აღიწეროს მათი ზრახვები, დადგინდეს ალიანსების ჩასახვისა ან, პირიქით, მათი მოშლის ფაქტები ადგილობრივ, რეგიონულ, კონტინენტურ და საერთაშორისო დონეებზე.

რეალური ზრახვების დასადგენად, გეოპოლიტიკა უნდა გასცდეს ოფიციალურ გამონათქვამებს, თუნდაც ეს ზრახვები სახელმწიფოთა მიერ ღრმად იყოს დაფარული, ამასთან, ფრანსუა ტიუალის თქმით, "უნდა დავეყრდნოთ წარსულის მემკვიდრეობასა და გეოგრაფიულ გარდუვალობას".

ზრახვების ქვეშ იგულისხმება "ქცევების იერარქიული ქსელი, რომელიც ამბიციების რეალიზაციისა და არსებული საფრთხის შემცირების ლოგიკას ემორჩილება".

სქემატურად, გეოპოლიტიკის ყოველგვარ მდგომარეობას მივყავართ ან ამბიციების რეალიზაციის, ან საფრთხისადმი წინ აღდგომის სურვილთან. ამიტომ საჭიროა მოხდეს დიპლომატიურ, სამხედრო და სხვა ქმედებათა კლასიფიკაცია და მათი გადანაწილება ამბიციებისა და საფრთხეების ალტერნატივაში.

საჭიროა აგრეთვე დადგინდეს ქცევების ხანდაზმულობა და შეგვეძლოს დამთხვევის ელემენტების გამორჩევა ქცევებში, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იჩენს თავს.

გეოპოლიტიკური ქცევის დროს, მხარეები თავიანთი ზრახვების რეალიზაციის მიზნით იყენებენ დიპლომატიურ, სამხედრო მექანიზმებს და ე.წ. "სპეციალურ საშუალებებს".

დიპლომატიური მექანიზმები

ყველა ქვეყანა, ისევე როგორც ყველა სოციალური ჯგუფი, თავის მიზნების წარმატებით განხორციელებაში დასარწმუნებლად, ამოქმედებს დიპლომატიურ მექანიზმებს _ თავის საგარეო კავშირების მართვის მექანიზმებს.

გეოპოლიტიკური ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალიანსებს. ფრანსუა ტიუალის თქმით, "რატომ უკავშირდებიან ერთმანეთს? ეს კითხვა ჩნდება ალიანსების ფორმირებიდან, ანუ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ხდება ინტერესთა თანხვედრის დაფიქსირება "დე ფაქტო" ალიანსის დამყარებამდე, შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, "დე-იურე", ანუ შეთანხმების სანქცირებამდე".

არსებობს სამი ტიპის ალიანსი: ა) ალიანსი, რომელიც ამბიციების დაკმაყოფილებას ემსახურება; ბ) ალიანსი საფრთხის დასაძლევად; გ)ალიანსი რეგიონის სტაბილიზაციისათვის.

სხვადასხვა ტიპის ალიანსების ფორმირების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოცვასა და კონტრგარემოცვას, რომელიც ეყრდნობა მოსაზრებას: "ჩემი მეგობრის მეგობარი თავისთავად ჩემი მეგობარი არ არის, მაგრამ ჩემი მტრის მტერი თავისთავად ჩემი მეგობარია".

დიპლომატიური მექანიზმი პრიორიტეტების მიხედვით მოქმედების ზონების იერარქიზაციას ახდენს. დიპლომატიურ მექანიზმს ნელი განვითარება ახასიათებს, მაგრამ ძირეული გარდაქმნის შესაძლებლობაც და მოვლენათა თავდაყირა დაყენების უენარიც გააჩნია.

სამხედრო მექანიზმები

სამხედრო მექანიზმებში იგულისხმება ქვეყნის განკარგულებაში მყოფი ყველა მიწიერი, საჰაერო თუ საზღვაო საშუალება, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მშვიდობის ან ომის დროს თავისი გეოპოლიტიკური მიზნების რეალიზაციის მიზნით.

ომი გეოპოლიტიკურ მიზანს არ წარმოადგენს. ომი არის "საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი გააქტიურების პერიოდი, რომელსაც დიპლომატიური საშუალებების შეწყვეტა ახასიათებს. ამასთან, ხშირად მხოლოდ ნაწილობრივი შეწყვეტა, რადგან ყოველგვარი ომების დროს მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკებები".

მშვიდობისა თუ ომის დროს, სამხედრო საშუალებათა სტრუქტურიზაცია სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ამბიციების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია. სამხედრო მექანიზმების შესწავლა წითელ ზოლად გასდევს გეოპოლიტიკას.

სამხედრო მექანიზმების ანალიზისას პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ "საბრძოლო შემადგენლობა", ანუ შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და მათი პოზიციები:

- სად არიან განგალებული ძალები?
- ვისკენ არიან ისინი მიმართული?

პირველი გეოპოლიტიკური რეფლექსი სამხედრო მექანიზმების შესწავლისას შეიარაღებული ძალების გეოგრაფიული განლაგების ანალიზია. შემდეგ ისმება კითხვა _ ეს თავდაცვითი თუ თავდასხმითი პოზიციებია? საქმე ეხება თავდასხმის ან შემოჭრის შეჩერებას, თუ მიზნად ისახავს ომის წარმოებას მტრის ტერიტორიაზე.

საჭიროა განისაზღვროს ძალების თავმოყრის ადგილი, დადგინდეს ზრახვები, მოხდეს პრიორიტეტების იერარქიზაცია სხვადასხვა

პოტენციურ ფრონტებზე, ყოველივე ეს წარმოადგენს ქვეყნების გეოპოლიტიკური ამბიციების გეოპოლიტიკური ანალიზის ბაზისს.

გეოსტრატეგია გეოპოლიტიკის ერთ-ერთი სექტორია, რომელიც შეისწავლის ძალებსა და მათ განლაგებას:

- რა იარაღი იწარმოება?
- რომელი იერაღის ექსპორტი ხდება?
- რომელ ქვეყანაში?
- რა მოტივაციით?

იგივე ეხება ბირთვული იარაღის გავრცელებას:

- ვინ რას იძლევა?
- ვის აძლევს?
- რატომ?
- როგორ?

სპეციალური საშუალებები

ლაპარაკია საიდუმლო სამსახურებზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ისინი სამოქალაქო და სამხედრო სახით არიან წარმოდგენილნი და სახელმწიფოთა და პოლიტიკური ჯგუფების ჭეშმარიტი ზრახვების მატარებლები არიან.

საიდუმლო სამსახურები "ამბიცია" დიალექტიკაში ჯდება, რაც გეოპოლიტიკური ანალიზის ბაზისს წარმოადგენს.

არსებობს სამი სახის სამსახური:

1. დაზვერვა - ცნობების მოპოვება;

2. კონტრდაზვერვა - ბრძოლა ცნობების მომპოვებელ სამსახურებთან;

3. მოქმედება - ძალისმიერი ოპერაციები, რომლებიც ცალკეული ინდივიდების იძულებას ითვალისწინებს.

ამას უნდა დაემატოს:

- ჩარევა
- კონტრჩარევა.

იგულისხმება ყველა საშუალების, საიდუმლო მექანიზმების ამოქმედება, რომელთა მეშვეობითაც ერთ ქვეყანას შეუძლია მეორე ქვე-

ყანაზე ზეგავლენის მოხდენა. კერძოდ, ქვეყანაში არსებული დასაყრდენი ძალების (სახელმწიფო გადატრიალების ძალები) ამოქმედებით მოახდინოს გავლენა ამ ქვეყნის ქმედებასა და პოლიტიკაზე იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდეს.

აქ უშუალოდ გავდივართ იმ ფენომენთან, რომელსაც ტერორიზმი ეწოდება. ფრანსუა ტიუალის თქმით, "ტერორიზმი ახდენს ძალადობის, დაზვერვისა და სახელმწიფო გადატრიალების საშუალებების სინთეზს. ის აიძულებს გეოპოლიტიკურ პარტნიორს უარი თქვას, დაუთმოს და გადახედოს თავის პოზიციებს".

საჭიროა დაისვას კითხვა: რა სურს ტერორისტულ ჯგუფს, როგორია მათი მიზნები და რა სურს იმ ხალხს, რომლებიც მათ ეხმარებიან? ფრანსუა ტიუალის მითითებით, "ტერორისტული აქტის ბოლო აღარ არის მკვლელობა. ეს არის მცდელობა ტერორით აიძულო ქვეყანა უკან დაიხიოს საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის გზით. ჩვენი დროის ტერორიზმმა საუკეთესო მოკავშირე მედიაში იპოვა".

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყველა ტერორისტული ქმედება მოიცავს იდენტიფიკაციის მთელ სერიას, რომელიც ითვალისწინებს ტერორისტული აქტის სათავეებთან მყოფ მონაწილეთა დადგენას. საჭიროა გარკვევა იმისა, თუ ვის აძლევს ხელს დანაშაული.

გეოპოლიტიკის ისეთი სპეციალური საშუალებანი, როგორიცაა ჯაშუშობა, სახელმწიფო გადატრიალება და ტერორიზმი, წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობის მონაწილეთა რეალური ზრახვების შეკუმშულ და საიდუმლო გამოხატულებას.

ამ თვალსაზრისით ისინი ორმაგად უფრო საინტერესონი არიან გეოპოლიტიკოსებისათვის: როგორც გეოპოლიტიკური არენის მონაწილენი და როგორც სახელმწიფოთა ნამდვილი მიზნებისა და ზრახვების მატარებელნი.

შიდა ოპოზიციის შესწავლა

გეოპოლიტიკა მხოლოდ ზრახვებს არ შეისწავლის, იგი ამასთანავე ახდენს მოცემულ დროსა და მოცემულ ქვეყანაში ხელისუფლე-

ბასთან დაპირისპირებული სხვადასხვა ჯგუფების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტთა იერარქიზაციას.

გეოსტრატეგიული მოტივაციები

ფრანსუა ტიუალის თქმით, არსებობს გარკვეული გეოგრაფიული პოზიციები, რომელთა მოპოვებასაც სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ეს მიაჩნიათ სიმდიდრისა და ძლიერების გარანტად. საქმე ეხება იდეოლოგიურად და პოლიტიკურად, აგრეთვე ემოციური და კოლექტიური თვალსაზრისით ღირებულ სივრცეებს.

საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებდა გეოპოლიტიკური ლოგიკა: დაიპყრო მთავარი რეგიონები და უფრო იმიტომ დაიპყრო, რომ ხელი შეუშალო სხვას მის დაპყრობაში.

მდინარეები დიდ როლს თამაშობდნენ ერების პოლიტიკურ წარმოსახვაში, ისევე როგორც მდინარეთა აუზები. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით მდინარე კომერციული სიმდიდრის წყარო, კომუნიკაციის საშუალება, გეოსტრატეგიული ღირძია, აგრეთვე ძალიან სასურველია შესართავის გამო.

სავაჭრო გზების საშუალებით ხორციელდებოდა გეოფიზიკური და ეკონომიკური რეალობების შერწყმა.

მნიშვნელოვანია ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროები. წყლის სივრცეებამდე მიღწევა - ეკონომიკური სიმდიდრის, ამავე დროს სამხედრო ძლიერების, პრესტიჟის საქმეა და ქვეყნის სიძლიერის მაჩვენებელი.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით თავისებური როლი განეკუთვნება ანკლავებს. მსოფლიოში 40-ზე მეტი ქვეყანაა, რომელთა ტერიტორიები სხვა ქვეყნის სივრცეში იჭრება. ანკლავირება განიხილება როგორც სისუსტე. იგი ქვეყანაში გეოპოლიტიკური არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენას უწყობს ხელს.

სრუტე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არის ადგილი, სადაც ხდება ამბიციებისა და საფრთხეების კონცენტრაცია, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საზღვაო ეკონომიკაზე. სრუტე დამთრგუნავი ადგილია. ეს ერთდროულად სიმდიდრის წყაროცაა, ვინაიდან იძულ-

ებითი გავლის წერტილია და, ამავე დროს, სისუსტის წყაროც, რადგან მას გვერდს ვერ აუვლი, "რის გამოც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მძევალთა ზონა, და, ასევე, როგორც ბლოკადის საშუალება" (ფრანსუა ტიუალი).

ფრანსუა ტიუალის თქმით, გეოსტრატეგიული არჩევანი მომავალ ათწლეულებში სულ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ტრანსპორტის გეოგრაფიასთან, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება რესურსებისა თუ სამხედრო გეოგრაფიებს.

სახელმწიფოთა მორფოგენეზისი

მორფოგენეზისი ფორმების შესწავლაა. გეოპოლიტაში გამოყენებისას მორფოგენეზისი საშუალებას იძლევა დადგინდეს ისტორიის ლოგიკა ქვეყნის ტერიტორიის, ეროვნებათა ჩამოყალიბების შესწავლის გზით, მონაპოვრებისა და დანაკარგების, ტერიტორიის გაფართოებათა და შემცირებათა გათვალისწინებით.

ქვეყნების ფორმების შესწავლა ანუ ტერიტორიის, სივრცის გარკვეული ნაწილების ფორმირების ეტაპების პოლიტიკური ლოგიკით დაკავშირებაა. მორფოგენეზისი განსხვავდება ეთნოგენეზისისგან, რომელიც ერის ფორმირებას შეისწავლის ისტორიის, კულტურისა და თავისი ტერიტორიის დაკავების პერიოდში.

მორფოგენეზისი და ეთნოგენეზისი გეოპოლიტიკური ანალიზის ორი შემადგენელი ნაწილია და ის შეიძლება გაკეთდეს ქვეყანასთან, რეგიონთან მიმართებაში. ეს "ტერიტორიული და სივრცობრივი გენეტიკა" უსასრულოა. ეს არის მხოლოდ იარაღი, რომელიც გეოპოლიტიკას საშუალებას აძლევს გაერკვეს ქვეყნის ფორმირების პროცესში.

საქმე ეხება მონაპოვართა და დანაკარგთა დაფიქსირებას, რომელსაც უნდა დაემატოს მეტ-ნაკლებად გაცხადებული ამბიციები, რომელიც ახალ მონაპოვრებსა და საფრთხეებს, ქვეყნის ტერიტორიული მემკვიდრეობის დაკარგვას განაპირობებს.

მორფოგენეზისის ამ მეთოდის გამოყენება ქვეყნებთან მიმართებაში საშუალებას გვაძლევს სწრაფად გავერკვეთ XX საუკუნის დამლე-

ვის დიდ გეოპოლიტიკურ პრობლემებში, რათა ვიცოდეთ როგორ წარმოიქმნებიან ქვეყნები.

ახალი ქვეყნების ანალიზი

მორფოგენეზისის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ახლადწარმოქმნილი ქვეყნების შესწავლა. მსოფლიოში სახელმწიფოთა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა. 1945 წელს 50 სახელმწიფო იყო, დღეს მსოფლიოში 180-ზე მეტი სახელმწიფოა, რაც იმპერიათა დაშლის, დეკოლონიზაციის შედეგია. ამ ახალ ქვეყანათა პრობლემა მათი ტერიტორიული სიმცირეა, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა კი შორსაა დამაკმაყოფილებლისაგან. ზოგიერთები კი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად ხელოვნურად არიან შექმნილი.

ხშირად ეს ქვეყნები საარსებოდ ნაციონალიზმის ახალ ფორმებს მიმართავენ, რათა დაარწმუნონ თავიანთი თანამემამულენი, რომ ჩამოყალიბებულ ერებს წარმოადგენენ, მაშინ როცა მათი ისტორია მხოლოდ ახლა იწყება. ფრანსუა ტიუალის თქმით, "ახალი ქვეყნების გარკვეული ნაწილი უიმედოდ ცდილობს სახელმწიფოს შექმნით შექმნას ერი".

ქვეყანათა წარმოქმნა ამჟამად მეტად ადვილად ხდება, საკმარისია ქვეყანამ საერთაშორისო აღიარებას მიაღწიოს - გაეროს წევრი გახდეს და სხვა ქვეყნებმა საელჩოები გახსნან.

ფრანსუა ტიუალის ვარაუდით, "ქვეყანათა წარმოქმნის პროცესი ალბათ არ შეჩერდება". მისივე თქმით, "ზოგიერთი რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს საპირისპირო ვიწინასწარმეტყველოთ. კერძოდ, სამხრეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, შესაძლოა, ზოგიერთი ქვეყანა გაქრეს, დაქუცმაცდეს და სხვა სახელმწიფოთა შემადგენლობაში შევიდეს".

ამგვარად, მორფოგენეზისი და მისი გარდუვალი შედეგი _ სახელმწიფოთა წარმოქმნა გეოპოლიტიკური ძიების ერთერთი უმთავრესი თავია და არა მარტო იმიტომ, რომ ეს საშუალებას გვაძლევს სახელმწიფოთა სივრცობრივ ლოგიკას მივყვეთ, არამედ იმიტომაც რომ

ისინი ამასთანავე საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველ მოძრაობას აფიქსირებენ.

იდენტობის კონფლიქტები

კომუნიზმის გაქრობამ გამოაცოცხლა ძველი ეთნიკურ კონ-ფლიქტები. ის, რასაც "იდენტურობის კონფლიქტებს" უწოდებენ აერ-თიანებს "ყველა კონფლიქტს, სადაც ერთი ჯგუფი გეოპოლიტიკურ მიზნებს მისდევს არა მხოლოდ საკუთარი თავის დაცვის მიზნით, არ-ამედ ამასთანავე იგი დარწმუნებულია, რომ ემუქრება გაქრობა, ან სხვათა ბატონობა, რაც მისთვის მიუღებელია".

მსოფლიოში არსებული ყველა ნაციონალური თუ რელიგიური კონფლიქტი არაა იდენტურობის კონფლიქტი. იმისათვის, რომ იდენ-ტურობის კონფლიქტს ქონდეს ადგილი, ჯგუფი დარწმუნებული უნ-და იყოს, რომ მას, მის არსებობას და ამ არსებობისათვის დამახასიათ-ებელ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ეროვნულ თავისებურებებს მეტ-ნაკ-ლებად რეალური და გამოკვეთილი საფრთხე ემუქრება.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მსოფლიოში არსებული ამ სახის კონ-ფლიქტების ზოგადი ნიშნები დავაფიქსიროთ. ს.ჰანთინგტონის "ცი-ვილიზაციათა კონფლიქტის" თეორია, რომელიც ინტელექტუალების დიდმა უმრავლესობამ გააკრიტიკა.

ფრანსუა ტიუალის სიტყვით, იდენტურობის კონფლიქტების მომრავლება შეიძლება აიხსნას მსოფლიოს ისეთი გლობალური პრობლემით, როგორიცაა სიღარიბე. "როცა დარწმუნებული ხარ, რომ ბედისწერა სიღარიბესა და ყოველდღიურ სიძნელეებს გიმზადებს, დიდია ცდუნება საკუთარ თავში ჩაიკეტო".

იდენტურობის კონფლიქტები ჩვენი დროის უბედურებაა. ის ისევე როგორც ახალი იდეოლოგია მოსახლეობის გაერთიანების სა-შუალებას იძლევა. ეს არის გარკვეული რეაქცია ეკონომიკური, პოლი-ტიკური და კულტურულ ურთიერთობათა გასაერთაშორისოებაზე.

კრიზისების გაშიფვრა

ტიუალის სიტყვებით, კრიზისის გაშიფვრა გულისხმობს მიზეზობრიობის სამი დონის კარგად შესწავლას. სახელდობრ, ეს არის:

- მდგომარეობა: გუშინ თუ გუშინწინ რამ განაპირობა ასეთი სამხედრო თუ დიპლომატიური ქმედება;

- გარემოებათა დამთხვევა: დადგინდეს კონფლიქტის თითოეული მონაწილის მოტივაციები და ამბიციები;

- სტრუქტურა: ამ მიზეზებიდან გამომდინარე, შორეული პერსპექტივების დასახვა 50, 60 ანდა 100 წლის პერიოდზე გათვლით.

რეგიონში გაჩაღებული კონფლიქტის დროს საჭიროა მეთოდოლოგიურად, დაძაბულობის კერიდან ათვლის დაწყებით, დავარწმუნოთ რეგიონული აუდიტორია ამ კრიზისში პარტნიორების არსებობის უეჭველობაში და შემდეგ ეს პრობლემატიკა კონტინენტურ სიტუაციასა და, ამასთანავე, საერთაშორისო ურთიერთობათა ჩარჩოში ჩავსვათ.